

ԳՈՂՈՒՄ

№7, 2016





შეუო!

მზეო, ასე თბილი გული
ვინ ჩაგიდგა,
რა ძალამ?
შენნაირი სიყვარული
ნეტავ, ყველას ასწავლა!

შენ – სამყაროს დედოფალო!
ზეცის სილაუფარდები
გიდევეს ბინა...
ჩვენც გაგვხვდით
ოქროს სხივთა ბადეში.

ლალი ჯაფარაშვილი

ანანო და იანო

ანანო და იანო
ველზე მიმოქრიანო...
– ეს იაა, ანანო,
სურნელი აქვს საამო.
– ეს ნამია, იანო,
ცის მანანაც ჰქვიაანო.
– ეს ყანაა ჯეჯილის,
თქორით ცვარდანამული,
მზეკაბანი დაარნევს,
ჯვარს გადასწერს მამული!



მხატვარი
ნანა სვანიძე

თ უ თ ა

პანტაპუნტით,
ტყაპატყუპით,
ფოთოლ-ფოთოლ ჩქამით,
ცვივა, ცვივა მნიფე თუთა,
– ერთი... ორი... სამი...
– აბა, ბადრი!
ხეზე ადი! –
პაპამ ბადრის უთხრა, –
ადი ბარემ, ქენი მაღლი,
დაარხიე თუთა
გადავჭიმეთ ძველი სუფრა,
ლამაზი და სუფთა,
– ტყაპ-ტყუპ... ტყაპ-ტყუპ... –
უვლის ბუქნას
ზედ თაფლივით თუთა.
აგე, ბატიც, ყელყარყარა,
მორბის, თან ფრთებს იქნევს –
ჭუჭულეზო, აქეთ, ჩქარა,
ჩვენც გვერგოსო, იქნებ!

მხატვარი
ლიკა გურგენიშვილი



მაკლი



პატარა ნიკა ზაფხულის არდადეგებზე სოფელში ბებოასთან წაიყვანეს.

– ფრთხილად იყავი! ეზოში ძალიან ავი მამალი გვყავს! – გააფრთხილა ბებომ.

ბიჭს სიცილად არ ეყო ეს ამბავი. – ავი მამალი? რა სასაცილოა. ძალი რომ გეთქვათ, მესმის. მამალმა რა უნდა დამიშავოს.

მეორე დღეს ნიკა ეზოში თამაშობდა. აღარც ახსოვდა მამლის ამბავი, რომ ის უეცრად გამოჩნდა. ამხელა მამალი ბიჭს არასოდეს ენახა. დინჯად დააბიჯებდა, თავმომწონედ. თითქოს უნდოდა, ყველასათვის გაეგებინებინა, ეს ქვეყანა ჩემიაო. ნიკას, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, შეკრთა, მაგრამ არ უნდოდა, მისი შიში ვინმეს შეემჩნია და ადგილიდან არ დაძრულა.

უცბად მამალი გაიბღინდა და ნიკასკენ გამოენტო. ახლა კი გაქცევის დრო იყო – ნიკა შემობრუნდა და, რაც კი შეეძლო, სწრაფად მოკურცხლა სახლისკენ. მამალი უკან მოსდევდა და ბიჭმა ერთი ფეხით შეასწრო სახლში.

მეორე დღით მამლის ყივილმა გააღვიძა. ნიკა ადგა და ფანჯრიდან გადმოხედა. ისეთი ლამაზი იყო... წითელი ბიბილო გვირგვინით ედგა თავზე, კუდი ნაირფრად უღივლივებდა, გულ-მკერდი წინ გამოენია და ეზოს ბატონ-პატრონით ამაყად დააბიჯებდა.

– გგონია, შემაშინებ? ეგლა მაკლია, მამლის მეშინოდეს. ნახე, მე შენ რა გიქნა! – ფანჯრიდან დაემუქრა ნიკა.

იმ დღეს ბიჭმა დიდი ჯოხისგან შუბი გამოთალა და მამალი ბრძოლაში გამოიწვია. უკან არც ერთი არ იხევედა. მამალი აფრინდებოდა და ბიჭისკენ იწევედა, ნიკა კი შუბით იგერიებდა და უტევედა.

ეს ამბავი ერთი კვირა გრძელდებოდა. ერთხელაც მამალმა მოასწრო და ბიჭს ფეხში ჩაუნისკარტა. იმან სიმწრისგან შეჰყვირა და სისხლიან ფეხზე დაიხედა.

– ეს საზიზღარი, ესა! როგორ დამისახიჩრა ბავშვი, – ვიშვიშებდა ბებო.

მეორე დღით ნიკამ შურისძიების წყურვილით გაიღვიძა. ადგა, ჩაიცვა, შუბს ხელი დაავლო და გარეთ გამოვიდა. მამალი არსად ჩანდა. ბიჭმა ძებნა დაუწყო, თან ფრთხილობდა, არსად იყოს ჩასაფრებულიო, მაგრამ ვერსად ნახა. ბოლოს სამზარეულოში შევიდა, სადაც ბებია ფუსფუსებდა. გაზქურაზე ქვაბი

თუხთუხებდა, მაგიდაზე დაჭრილი ხახვი და ბოსტნეული იდო. ირგვლივ სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა.

– ბებო, მამალი სად არის? – იკითხა ნიკამ.

– მამალი ანი აღარ შეგანუხებს, ძვირფასო, შეგიძლია, მშვიდად ითამაშო ეზოში, – უთხრა ღიმილით ბებომ და ქვაბს გახედა.

ნიკა ადგილზე გაშეშდა და, ქვაბს რომ გახედა, თვალებიდან სიმწრის ცრემლები გადმოსცვივდა...

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე





დახუჭობანას თაშაშის ნინ დასათველი რქსი

გათვლა I

ნახეთ, ნახეთ, რა გოგოა,
თეოლინა – თეო!
ყველაფერზე, რაც ბრჭყვიანებს,
გაიდახის – მეო;
მოკამკამე ვარსკვლავები,
მოკაშკაშე მზეო!

გათვლა II

ნახეთ, ნახეთ, რა გოგოა,
თეოლინა – თეო!
ყველაფერზე, რაც ბზრიალებს,
გაიდახის – მეო;
ჩიკორი და ჩილიკა,
– ვინ გავიდა?
– ლიკა!



გათვლა III

ნახეთ, ნახეთ, რა გოგოა,
თეოლინა – თეო!
ყველაფერზე, რაც ბზინვარებს,
გაიდახის – მეო;
დამანი და მამბაკუნა,
– ვინ გავიდა?
– ეკუნა!

გათვლა IV

ნახეთ, ნახეთ, რა გოგოა,
თეოლინა – თეო!
ყველაფერზე, რაც ბიბინებს,
გაიდახის – მეო!..
მაგრამ, ნახეთ, რა მოხდა;
გადაუდგა ნინ ბეკეკა,
– არ გრცხვენია, თეო?
ყველაფერზე როგორ ამბობ
– მე, მე, მე, მე, მეო?
ყველაფერი შენ რომ გინდა,
მეც ხომ მინდა – მეეეეე-ო!.....
ჰოდა, მაშინ იხუჭება თეოლინა-თეო!

მხატვარი
თეა შიქაია



ღამბაქის, ფინჯნისა და კოვზის ჩხაბი

ინგლისური ზღაპარი

ერთ დილას, საუზმის დროს, ღამბაქი ფინჯანი და კოვზი წალაპარაკდნენ და მერე ისეთი ჩხუბი ატეხეს, რომ პატარა თომა, რომელიც ამ დროს ჩაის მიირთმევდა, სიცილით კინალამ გაიფხრინა.

„ქვეყნად ყველაზე დაჩაგრული არსება მე ვარ, – დაიწყო ღამბაქმა, – შენ, მახინჯო და უშნო ფინჯანო, მთელი საუზმის დროს დაჯირითობ ჩემს ზურგზე, მერე ამასაც არ მაკმარებ და ადუღებულ ჩაის გადმომალვრი ხოლმე, ხან კიდევ კოვზით მიჭეჭყავ გვერდებს!“

„შენა ხარ დაჩაგრული! – დაიღრიალა ფინჯანმა, – შენ უქნარა ვაჟბატონო, აბა, რას მიკეთებ, გდიხარ და მხოლოდ სუფრას ინახავ სუფთად. მე კი, მართლაცდა, ყველაზე საბრალო ვარ. ჯერ ერთი, რომ ყელამდე გამავსებენ ცხელი ჩაით, ლამისაა დავიხრჩო, მერე მომდგება ეს კოვზი და იმდენს მირტყამს გვერდებსა და მუცელში, რომ ველარც კი ვგრძნობ, ფეხზე ვდგავარ თუ თავდაყირა ვარ“.

„დიახ, როგორ არა! – აკაკანდა ახლა კოვზი. – თქვენ არაფრის მაქნისები ხართ და ბევრს კი ყბედობთ! საცა სამართალია, მთელი საქმე მე მანევს. ჯერ უნდა საშაქრიდან

შაქარი ამოვიღო, მერე თავბრუდახვევამდე უნდა ვიტრიალო და გავადნო ეს შაქარი, და, როცა მგონია, ახლა კი მოვისვენე, ტკბილი ჩაით ყელს ჩავიტკობ-მეთქი, – პირთან მიმარბენინებს ეს სულელი ბიჭი, რომელიც ახლაც კი დაგვცინის!“

ასე დაიწყო მათი ჩხუბი და გაგრძელდა ნა-საუზმევს სამზარეულოშიც. მორთეს ხტუნვა, ჯირითი. კოვზი ღამბაქს მივარდა და ცხვირპირი ჩაამტვრია, ფინჯანი კიდევ კოვზს ეცა და ერთი კი აჰკრა თავი, მაგრამ უცებ იატაკზე დავარდა და ხუთად დაიმსხვრა. დარეტიანებული კოვზი კუთხეში მივარდა თავგების სოროსთან.

ეს გახლავთ ამ ჩხუბის ბოლო.

ახლა კი სასჯელიც მოისმინეთ:

ღამბაქი ხარახურით სავსე დიდ კასრში დაატყვევეს, სადაც საბრალო ფინჯანზე ათჯერ უფრო მძიმე რკინის ნაჭრები ეყარა; ხუთად დამსხვრეული ფინჯანი სანაგვე ყუთში მოათავსეს და მეტად აღარც უნახავს მზის სინათლე; კოვზი კი, რომელსაც გულში ეცინებოდა, ხომ გადავრჩიო, სოროში გაიჩხირა და იქ გდია საბრალო, ველარც გარეთ გამოდის და ვერც თავგებთან შესულა.

ინგლისურიდან თარგმნა
ვახტანგ ჭელიძემ

მხატვარი
მალხაზ კუსაშვილი



გონიერების ზარდახშა

მომზადდა
ალექო გაბელაიამ

ნუბუი

დიდ ფილოსოფოსს, პლატონს ჰკითხეს:

– როგორ ინუგეშოს თავი უბედურებაში ჩავარდნილმა კაცმა?

ფილოსოფოსმა უპასუხა:

– ჭკვიანი კაცი თავს იმით ინუგეშებს, რომ, რაც მოხდა, ეს გარდუვალობა იყო, სულელს კი ის აზრი ანუგეშებს, რომ უბედურება, რომელიც მას გადახდა, სხვებსაც დასტყდომიათ თავს.

უველას თავისი საღარღუელი კეჟს

ერთხელ ისე მოხდა, რომ ფილოსოფოსი სოკრატე და ერთი მდიდარი კაცი ერთმანეთს დაემგზავრნენ. გზად მიმავლებმა შეიტყვეს ერთ საშიშ მონაკვეთზე ავაზაკთა ჯგუფია ჩასაფრებულიო.

– ვაი, უბედურო ჩემო თავო! რომ მიცნონ, რალა მეშველება?! – ავიშვიშდა მდიდარი.

დიდმა ფილოსოფოსმა კი დანანებით წართქვა:

– ვაითუ, ვერ მიცნონ!

მორალის მაგიერ –

ერთხელ ერთმა შეგირდმა სოკრატეს ჰკითხა:

– ამიხსენი, მოძღვარო, რატომ ერთხელაც არ შემინიშნავს შენს შუბლზე დარდისა და ნაღვლის ნიშანი?

გენიოსმა ფილოსოფოსმა ასე უპასუხა:



– იმიტომ, რომ არაფერი გამაჩნია ისეთი, რის დაკარგვას ან წართმევას ვიდარდებდიო.



ვეღა-ვეღა ამბები

მარტო

სტაბილი
მარტონქაზე



დასას- რუ- ლი

ავტორი და მხატვარი
ქეთო კალაძე

თავსატენი

ამ თავსატენში სხვადასხვა სახეობის ცხრა თევზი მონაწილეობს.

იპოვე ის სამი კუბიკი, რომლებშიც ცხრავე თევზია და არც ერთი არ მეორდება.



თითოეულ ვიკინგს აპოვნინე თავისი ჩრდილი.



სპუდანოვა. კაჭანუბისთავს



გამოიკნონ პაცაჩუბმა



იცის, დიდთავა შეარქვეს,
ამით არ იტეხს გულს,
ღამით ფხიზლობს და დღე სძინავს,
რა ფრინველია?


--	--

მწვანე სამოსით გუბესთან
თქვენც გეყოლებათ ნანახი,
ყიყინს სიმღერას ეძახის,
რა ცხოველია?

--	--	--	--	--	--

უხარია, თაფლით რომ
ჩაუტკებება ყელი,
მშობლები ჰყავს დათვები,
თავად ჰქვია?

--	--	--	--



აბა, გამოიკნონი

პატარა გივის სათამაშო
ჯარისკაცები აჩუქეს. ბავშვმა
სცადა მათი ჩამწკრივება: თითო
რიგში ოთხ-ოთხი დააწყო,
მაგრამ ორი ჯარისკაცი ზედმეტი
აღმოჩნდა. დააწყო ხუთ-ხუთი
– ახლა სამი ჯარისკაცი დარჩა
ზედმეტი. დედას სთხოვა, ორი
ჯარისკაცი კიდევ მიყიდეო და
ამის შემდეგ შეძლო ჯარისკაცების
დანყოფა რიგში ოთხ-ოთხადაც და
ხუთ-ხუთადაც.


გამოიცანით, რამდენი ჯარისკაცი
აჩუქეს გივის?





שנחיה
 נבחרת
 זכרונות
 ארוכה
 על
 שנתנו
 תפוח

START




ב-99
 חתונה
 חתונה



10

החנות נוספת



ეჟიმი და კვალაუოფი

(ჰიესა)

მონანილენი:

მთხრობელი (უფროსი ან ბავშვი); გოგონა; ბიჭი.

- გოგონა – ექიმო, ექიმო, დამეხმარე, ავადა მყავს ჩემი პატარა გოგონა, მშვენიერი თვალუყუყუნა შვილიყო. შეხედეთ, როგორ გახდა, არაფერს არ ჭამს, არც სვამს!
- მთხრობელი – ეუბნებოდა პატარა ანიკო ძია კოტეს და არწევდა თავის დედოფალას. ძია კოტემ დახედა დედოფალას, მაჯა გაუსინჯა, შუბლზე ხელი დაადო და უთხრა:
- ექიმი – მართალია, ძალიან ავად არის. გაცივდებოდა, მაგრამ არა უშავს. ახლავე წამალი დავალევინოთ. ერთი კოვზი მურაბა რომ გადავაცლაპოთ, მორჩება.
- გოგონა – როგორ ფიქრობთ, ექიმო, ერთი კოვზი ეყოფა?
- ექიმი – ეყოფა! ცოტა წყალიც უნდა დააყოლოს.
- გოგონა – მაშ, მოიტათ ჩქარა, მანდ არის განჯინაში. მხოლოდ დიდი კოვზი გამოიღეთ...
- მთხრობელი – ექიმმა გამოიღო განჯინიდან ერთი კოვზი მურაბა და გადააყლაპა.
თუ იცით, ვის?
რა თქმა უნდა, ანიკოს, და დედოფალაც მაშინვე მორჩა!



მხატვარი
გიორგი როინიშვილი

ურჩი სიყვანი

დღეს ციყვები ქეიფობენ,
სუფრაზე აქვთ რკო და თხილი.
ტყეს აყრუებს ირგვლივ მათი
ხარხარი და შეძახილი.

სუფრის თავში ნაცარა ზის,
სუფრის ბოლოს ჟღალი ციყვი,
დაბადების დღეს ზეიმობს
მათი შვილი – ურჩი, ბრიყვი...

ერთ ადგილზე ვერ ისვენებს,
დახტის, ბრუნავს ყირამალა,
მაგიდიდან რკო და თხილი
ერთიანად გადმოყარა.

აღარ ესმის დარიგება
არც დედის და აღარც მამის:
ხან ხის ტოტზე დაეკიდა,
ხან მოიგდო ზურგზე სკამი.

მერე სტუმრებს დაერია –
მათთვისაც კი დრო იპოვა –
ყველას ზურგზე შეაყარა
გადამხმარი ფოთლის გროვა.

მაგრამ განა აპატიეს
ციყვუნებმა ქცევა ცუდი?!
დაიჭირეს და თავნება
ჩამოკიდეს ხეზე კუდიტ.



მხატვარი
მანანა მორჩილაძე

ზანზარა და ჩუ ზღვის ფსკეის ცოკებენ



დეღინმა მეგობრებს საცეცები მოაშორა და ხომალდში შეცურა.

- ნუ გეძინიათ! დეღინი
მოვიყვანე! რვაფებს
დეღინის ეძინია!

- რამდენი თევზი
გადაარჩინე!!!
მოკალი რვაფება?

- ხომალდის
ჭუჭრუტანიდან გამექცა,
ეგეც შეუძლია. მაგრამ
არა უშავს, სხვა დროს
ვასწავლი ჭკუას.

- თევზო, შენც დიდი
მადლობა. სურვილი
შეგვისრულე, ზღვის
ფსკერიც გვაჩვენე და
ხიფათისგანაც გვიხსენი.

- დიდი მადლობა,
დეღინო, შენ
მარტო ადამიანის
კი არა, ყველას
მეგობარი ხარ.

– თქვენც ხომ
გვიშველიდით, ჩვენ
რომ გასაჭირში
ჩავვარდნილიყავით?



– წამოდით, ხმელეთამდე
მიგაცილებთ, თორემ ახლა
შეიძლება ზვიგენებმა
შეგჭამონ.



(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვასილ გულუური

ფვიგენი და კომბოსტო

ერთმა თეთრმა ზვიგენმა
ზღვის კომბოსტო იგემა.
– ეს რა გემრიელია!
უარი თქვა, ძნელია.

აღარ შევჭამ ხვალიდან
თევზებსა და ხამანკებს,
ზღვის კომბოსტოს მხალი და
ღვეზელებიც არ მანყენს!

იცით, მერე რა მოხდა?
არავინ რომ არ ელის –
გახდა თეთრი ზვიგენი
ვეგეტარიანელი!





წინა მხარე

ნაყინიჭამია ჟირაფი

ზაფხულის პაპანაქება სიცხემ იმდენი ქნა, რომ ჯუნგლების ბინადრებს მარტო წყალში გაგრილება აღარ შველოდათ. ლომი კონდიციონერს ნატრობდა, ზებრა – მარაოს, აი, ჟირაფი კი – ნაყინს. სადღაც გაგონილი ჰქონდა, როცა ცხელა, ადამიანები ნაყინს ჭამენ, თან გრილდებიან და თანაც ყელს იკოკლოზინებენო.

– ეჰ, კარგია, მაგრამ ჯუნგლებში სად მოვძებნო ნაყინი, – ამოიოხრა ჟირაფმა და მონყენილი დაადგა მდინარისკენ მიმავალ გზას.

– აი, სასწაული, – ჟირაფი მოულოდნელად შედგა, თვალები კარგად მოისრისა და მის წინ აღმართულ ნაყინების გროვას დაამტერდა, დასიცხულს ხომ არ მეჩვენებაო. რომ დარწმუნებულიყო, გაბედა და ერთ ნაყინს გემო გაუსინჯა, მერემეორეს, მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს...

ამასობაში სიცხისგან გათანგულმა მაიმუნმა ჩამოიარა. რომ დაინახა ჟირაფი რაღაცას მადიანად ყლაპავდა, მერე კი კანკალებდა, გაუხარდა, იფიქრა, ერთ ყინულის აბს მეც გადაამაყლაპებს და გავგრილდებო, მაგრამ ჟირაფს სიძუნწემ ძლია. პირდაპირ უარის თქმა მოერიდა, კარგად იცოდა მაიმუნის ამბავი, მთელ ტყეში ძუნწის სახელს გაუგდებდა, ამიტომ განანყენებული სახე მიიღო: – რას ჰქვია, ნაყინს ყინულის აბი როგორ უწოდებო.



მაიმუნმა თათი ჩაიქნია, შენგან ხეირი მაინც არ იქნებაო და გზა განაგრძო, თან თვალებით გამვლელ-გამომვლელს ეძებდა – აბა, ჟირაფის სიძუნწის ამბავი ვინმესთვის ხომ უნდა ეთქვა.

ჟირაფმა კიდევ ბევრი მსურველი გაისტუმრა უარით. ზოგს რა მიზეზი უპოვა, ზოგს რა. თავად კი ერთიმეორის მიყოლებით ჩქარ-ჩქარა ყლაპავდა ყინულებივით ცივ ნაყინებს.

– რა კარგი იყო! – ტუჩებს ილოკავდა ჟირაფი. – ვანილისაც მომეწონა, შოკოლადისაც და მარწყვისაც, მაგრამ ყველაფერს მაინც აკაციის ფოთლის ნაყინი მიირჩევნია, – და რახან ბოლო ნაყინიც აკაციის ფოთლის აღმოჩნდა, ისიც მაშინვე შესანსლა. ცოტა ხანში ჯუნგლებში განგაში ატყდა. ყველა ექიმს ეძებდა – ნაყინიჭამია ჟირაფს ყელი სტკიოდა და ბოლო ხმაზე ყვიროდა: – ვაი, მიშველეთო.

– ამდენი ნაყინი რამ გაჭამა, – საყვედურობდნენ ცხოველები, ის კი ცრემლებს აფრქვევდა, თან თავის გამართლებას ცდილობდა: რა ვიცი, ისეთი გემრიელი იყო, პირში თვითონ მიხტებოდნენო.

როგორც იქნა, ექიმსაც მიაგნეს. ეჰ, მოუწონია ჟირაფს მთელი ზაფხული ლოგინში ნოლა და კოვზით მწარე წამლების ყლაპვა. თან, ვერ წარმოიდგენთ, რამდენი მეტრი ნაჭერი დაიხარჯა მისი ყელის შესახვევად. ეხუმრები, მაგ სიგრძე კისერს?!



მხატვარი
ნატალია კუცია






ელენე ცოფურაშვილი, 9 წლის

პატარა ელენე იუბილარია.
ჟურნალი „დილა“ დაბადების
დღეს ულოცავს და წარმატებებს
უსურვებს.



ბავშვთა



შემოქმედება



ეთერ ონიანი, 8 წლის

მარიამ ონიანი, 6 წლის



უარაღა

ამ სიტყვის შესადგენადა
ორი მარცვალი გჭირია:
პირველი – სახლი მწერისა,
უყვარს ყვავილი ტკბილია,
მუდამ რომ დაჰფრენს, მუშაობს
სულ ყველას გასახარადა.
მეორე – ნოტას იპოვით,
რომ გამოიცნოთ შარადა.

პასუხი: სახლის ავეჯი,
ყველა ოჯახში დგმულია,
ასე განსაჯეთ, სოფელშიც
ძველთაგან მიღებულია.

ღნის უკვსცეფი


შავი შაშვი შავ შოშიას
ბუშინ შაქარს შეჰპირდა!

ანცმა ციყვმა ციცარს
ცახცახით უთხრა:
გაცეცხლებული ვარ, რა
მეცერცვ-მეცერეცოებაო.

ანრაზები

ერთხელ ნახვა ცნობაა,
ორჯერ ნახვა ძმობაო.

ზაფხული ზამთრის მუშა
არისო.



ISSN 0132-5965



9 770132 1596009

მთავარი რედაქტორი ღოდო ნიჰნიჰაქი

ნახატი ყდაზე: ზაურ დეისაძისა

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო



ქვეყანის სახლი